ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ირაკლი კუჭავას

მუნიციპლიტეტის მერის დავით შარაშიძის

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დადგენილების პროექტი შემუშავება განპირობებულია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში" და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში" განხორციელებული ცვლილებებით, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2023 წლის 1 აპრილიდან და მუნიციპალიტეტებს დაევალათ მიღებულ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

აღნიშნული ცვლილებით, მუნიციპალიტეტს ექნება უფლებამოსილება, ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 209^3-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვისთვის დააკისროს პირს სახდელი, რის შედეგადაც მოხდება მყისიერი და ეფექტური რეაგირება სამართალდარღვევაზე. მუნიციპალიტეტი ხდება უფლებამოსილი თავად განსაზღვროს სამართალდამრღვევი სუბიექტისათვის სახდელის გამოყენების საკითხი და სახდელის შეფარდებაზე უფლებამოსილი ორგანო. თუ 209^3-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართალდამრღვევის იდენტიფიცირებისთვის ან სხვა ფაქტობრივი გარემოებების დადგენისთვის ადმინისტრაციული წარმოება საჭირო არ არის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი ამ კოდექსის 290^6 მუხლის გათვალისწინებით ადგილზე განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევს ადგილზევე შეუფარდებს ადმინისტრაციულ სახდელს (ჯარიმას). წარმოდგენილი პროექტით, ასევე, მტკიცდება აღნიშნული ცვლილებით მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო საჯარიმო ქვითრის ფორმა, რომელიც წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას და ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, საჭიროებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიული პირ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციას და საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუშის შეთანხმებას.

საქართველოს კანონში „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ განხორციელდა ცვლილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 22.12.2022წ. სარეგისტრაციო კოდი: 330090000.05.001.020771; დოკუმენტის ნომერი 2484-Xრს-Xმპ) რომლის თანახმად, განისაზღვრა მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს ვალდებულება, რომ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა. ამასთან, ამავე ცვლილებით მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2023 წლის 1 აპრილამდე დაადგინონ საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 136-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

ამასთან, პროექტის მიხედვით, თუ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების შეუსრულებლობას აქვს ადგილი, ზედამხედველობის სამსახური იწყებს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებას და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (დადგენილებას) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რაც არ ათავისუფლებს ზედამხედველობის სამსახურს ვალდებულებისაგან თვეში არანაკლებ ერთხელ შეამოწმოს შეჩერების შესახებ დადგენილების შესრულება.

ასევე, განხორციელებული ცვლილებებით მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილების შეუსრულებლობაზე დაწესდა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა და მშენებლობის შეჩერების შესახებ მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს დადგენილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას აღნიშნული მშენებლობის შეუჩერებლობის შემთხვევაში შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე. აღნიშნული ცვლილება ასახულია წარმოდგენილ პროექტში.

პროექტის ინიციატორია მუნიციპალიტეტის მერი.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ირაკლი ახობაძე.

მუნიციპალიტეტის მერი: დავით შარაშიძე

პროექტი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
დადგენილება

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში (სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.114.016467; ვებგვერდი - www.matsne.gov.ge: 31.03.2022):

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1, N3, N4, N5, N10 და N13 ჩამოყალიბდეს თანდართული სახით;

ბ) დამტკიცდეს საჯარიმო ქვითრის ფორმა დანართი N2[1] შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის განხორციელების წესი" დანართი N14 შესაბამისად;

ე) დამტკიცდეს ადგილზე დათვალიერების ოქმის ფორმა დანართი N15 შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

პროექტი მოამზადა: ი. ირაკლი ახობაძემ

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად
საკრებულო ადგენს:

1.დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2.,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქუჩა N4.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: *ირაკლი ახობაძემ*

დასკვნა

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს.
2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 16-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ნ" ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობის განხორციელება.
2. ,,მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტთან, რომლის თანახმად, მკაცრი აღრიცხვის ფორმების გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი განისაზღვრება კანონით და შესაბამისი სამართალსუბიექტების მიერ დადგენილი წესის საფუძველზე.
3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის" 209^3-ე მუხლის მე-3 ნაწილთან, რომლითაც განსაზღვრულია, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მუხლების ჩამონათვალი.
4. საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე - 128-ე მუხლებთან, რომელიც ადგენს სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების წესს.
5. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიულ აქტში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება იმავე სახის ნორმატიული აქტით. იგი იმ ნორმატიული აქტის განუყოფელი ნაწილია, რომელშიც შეტანილი იქნა ცვლილება.

იურიდიულიი განყოფილების უფროსი: ბექა შენგელია